საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

ბრძანება

MES 2 23 0001716179

15/12/2023

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის „სადგურის დისპეტჩერი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 14 დეკემბრის №1709757 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული გადამზადების პროგრამა „სადგურის დისპეტჩერი'' **(დანართი)**.
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01831	სადგურის დისპეტჩერი	გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	30	ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ, ნაკვეთი 01/10 სს ,,საქართველოს რკინიგზა", ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. №28

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2023 წლის 11 ნოემბრის

ბრძანებით N107

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სადგურის დისპეტჩერი
პროგრამის სახე: ☐ პროფესიული მომზადება ▌ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ▌ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 **მაქსიმალური** 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, სადგურის სამანევრო დისპეტჩერის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ცნობა აღნიშნულ სფეროში.

პროგრამის მიზნები: გადაამზადოს მსმენელი რკინიგზის სადგურის სამანევრო დისპეტჩერის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზების განსაზღვრა;
2. საჭირო ინვენტარის/ ხელსაწყოების განსაზღვრა/ აღჭურვა და მათი გამართულობის შემოწმება;
3. ინსტრუმენტების და ხელსაწყოების ადგილზე უზრუნველყოფა და სამუშაო ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნა
4. სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების და დებულებების აღწერა;
5. სამანევრო ოპერციების შესრულება;
6. მატარებლის განფორმირება-ფორმირების პროცესის აღწერა;
7. მატარებლების ფორმირება-განფორმირება;
8. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა;
9. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** "სარკინიგზო გადაზიდვები"
- **მოდულები:** სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში - 0711819
- სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება – 0711814

პროგრამის მოკლე აღწერა:

სადგურის სამანევრო დისპეტჩერის პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს დარგში არსებული კადრების გადამზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური სადგურის სამანევრო დისპეტჩერის გადამზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა და 180 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 15 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსით სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება, და სადგურის სამანევრო დისპეტჩერის კომპეტენციები. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	• ტექნიკური ტერმინოლოგია; • მექანიზმების, ინსტრუმენტების / ხელსაწყოების ტიპი, მარკა და დანიშნულება; • მუშა კვანძების გამართულობის შემოწმების ძირითადი პრინციპები და ექსპლუატაციის ძირითადი წესები; • სამუშაო ადგილის მდებარეობის განსაზღვრა;	1	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა,პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.

	• სამუშაოების წარმოებისას მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები.					
2	• საჭირო ინსტრუმენტები და ხელსაწყოები; • საჭირო ინსტრუმენტების და ხელსაწყოების გამართულობის წესები.	2	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
3	• სამუშაოს წარმოების სპეციფიკა შესასრულებელი დავალების მიხედვით; • სასიგნალო ნიშნების ჩვენების წესები; • მატარებლების და მოძრავი ერთეულების კონტროლი; • კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება მატარებლის გატარების, მიღების და სამანევრო სამუშაოების წარმოების დროს.	3	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
4	• მანევრის ცნება და კლასიფიკაცია; • მანევრის ძირითადი ხერხები; • სამანევრო მუშაობისთვის აუცილებელი მოთხოვნები; • სამანევრო მუშაობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა; • მანევრებში მონაწილეთა მოვალეობეის და პასუხისმგებლობები; • სამანევრო საშუალებები და მოწყობილობები.	4	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
5	• ვაგონთა ჯგუფების გადახსნის სამუშაოები; • ვაგონთა ჯგუფების და ცალკული ვაგონების მიბმის ოპერაციები.	5	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.

6	• სამანევრო ოპერაციების შესრულებისას მატარებლის „გაჩერების“ სიგნალი; • მანევრების შესრულებისას არაცენტრალიზებული ისრების გადაყვანა.	5	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
7	• მატარებელთა განფორმირების პროცესი სადგურის ტიპების მიხედვით; • მატარებელთა ფორმირების გეგმა; • გადასამუშავებლად მოსულ მატარებელთა დამუშავების ტექნოლოგია; • სადგურში გადაუმუშავებლად გამვლელი სატრანზიტო მატარებლების დამუშავების ტექნოლოგია და გრაფიკები; • გადასამუშავებლად მოსული მატარებელთა დამუშავების ტექნოლოგია; • მატარებლების ფორმირების მეთოდები და მახარისხებელი პარკის ლიანდაგების სპეციალიზაცია; • მახარისხებელ პარკში ვაგონების დამუშავების ტექნოლოგია; • გამგზავნ პარკში ვაგონების დამუშავების ტექნოლოგია.	6	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
8	• მატარებლების ფორმირების მეთოდები და მახარისხებელი პარკის ლიანდაგების სპეციალიზაცია; • ტექნოლოგიური პროცესის დაცვით სადგურში გადასამუშავებლად მოსული მატარებლის დამუშავება.	7	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.

9	• ვაგონების დანიშნულება მათზე გაკეთებული აღნიშვნის მიხედვით; • ვაგონების ახსნა-მიბმის სამუშაოები; • დაცლა-დატვირთვის ფრონტებზე მიწოდებულ ვაგონების დამაგრება.	7	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
10	• მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება/ გამოტანის ინტერვალი; • მისასვლელი ლიანდაგების ტექნიკური მაჩვენებლები; • მისასვლელ ლიანდაგში ვაგონების მიწოდება-გამოტანის წესი; • მისასვლელ ლიანდაგში სამანევრო ოპერაციების წესი.	8	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
11	• მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება/ გამოტანის ინტერვალის განსაზღვრა; • მისასვლელ ლიანდაგში ვაგონების მიწოდება/ გამოტანის ოპერაციები.	9	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.
12	• მიწოდება-გამოტანის ინსტრუქციის შესაბამისად ვაგონების დამაგრება მისასვლელ ლიანდაგებში; • საერთო და არასაერთო სარგებლობის ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.	9	15	ლექცია, პრაქტიკული, მეცადინეობა.	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C.

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება – 0711814	1. სარკინიგზო გადამზიდავის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზების განსაზღვრა; 2. საჭირო ინვენტარის/ ხელსაწყოების განსაზღვრა/ აღჭურვა და მათი გამართულობის შემოწმება; 3. ინსტრუმენტების და ხელსაწყოების ადგილზე უზრუნველყოფა და სამუშაო ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნა
სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურში - 0711819	1. სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების და დებულებების აღწერა; 2. სამანევრო ოპერციების შესრულება; 3. მატარებლის განფორმირება-ფორმირების პროცესის აღწერა; 4. მატარებლების ფორმირება-განფორმირება; 5. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა; 6. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.